სადოქტორო პროგრამა

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი

(Tourism and Hospitality Management)

თბილისი

2022

ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

შეთანხმებულია:

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

პროფ. ლ.საბაური----------

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ი. გრძელიძე ----------

ფაკულტეტის საბჭოსთან

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი№

პროფ. გ. ღაღანიძე ----------

დამტკიცებულია

თსუ აკადემიური საბჭოს მიერ

აკადემიური საბჭოს დადგენილება #116/2022; 12.12.2022

https://tsu.ge/ka/legalakad/46221

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის დასახელება (ქართულად დაინგლისურად)	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი Tourism and Hospitality Management
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ტურიზმის დოქტორი PhD in Tourism
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სასწავლო კომპონენტი - 50 ECTS, მათ შორის: • სავალდებულო - 40 კრედიტი; • არჩევითი - 10 კრედიტი. სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა არანაკლებ 6 სემესტრი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები /კოორდინატორი	იოსებ ხელაშვილი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი (სპეციალობა: ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია), პროფესორი, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი. თსუ-ს მაღლივი კორპუსი, IV სართული, ოთახი 416 ტელ.: 599 971 193; ელ-ფოსტ: ioseb.khelashvili@tsu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი).

	• ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით. ევროპული სამეცნიერო ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ გავლილი აქვს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას. (უცხო ენის ცოდნის დონეების განმარტება იხ. ბმულზე https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/2452018_d2.pdf). • დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. • გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს ტურიზმის კომპლექსურ სფეროში ინოვაციური თეორიული ცოდნისა და მაღალი პედაგოგიური კვალიფიკაციის მქონე ტურიზმის აკადემიური დოქტორი, რომელსაც შეეძლება განახორციელოს ორიგინალური და უახლოეს მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მულტიდისციპლინური კვლევები. ასევე, პროგრამის მიზანია დოქტორანტი დაეუფლოს სწავლების თანამედროვე მეთოდებს და მათი გადაცემის უნარ-ჩვევებს, შეიტანოს თავისი წვლილი ტურიზმის სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში ღირებული, ახალი ცოდნის შექმნით და გავრცელებით.
სწავლის შედეგები	**ტურიზმის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:** **<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>** • ტურიზმის კომპლექსურ სფეროში თანამედროვე კონცეფციების და თეორიების სიღრმისეული **ინტერპრეტირება** სისტემური და კრიტიკული გააზრების საფუძველზე; • **მოახდინოს** ტურიზმის სფეროში მულტიდისციპლინური

	კავშირების **იდენტიფიცირება** მათი გაანალიზებით და განზოგადებით; <u>**უნარი**</u> • **განსაზღვროს** კომპლექსური საკითხების კვლევებისათვის ადეკვატური მეთოდოლოგია უახლესი და ინოვაციური მეთოდიკის პრიორიტეტული ჩართულობით; • **დააკავშიროს** კონკრეტული კვლევების შედეგები ტურიზმის სფეროში მიღებულ კონცეპტუალურ და თეორიულ ცოდნასთან; • **მოამზადოს** მეთოდიკური და პრაქტიკული რეკომენდაციები კვლევითი შედეგების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე; • **მოახდინოს** მიღებული ცოდნის **დემონსტრირება** დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციებით, კონფერენციებში მონაწილეობით და სასწავლო პროგრამების განახლებით; <u>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**</u> • **აიღოს** პასუხისმგებლობა მეცნიერული კვლევების მოსალოდნელ და უკვე მიღებულ შედეგებზე და შემუშავებული რეკომენდაციების გაცემაზე; • დამოუკიდებლად **განსაზღვროს** საკუთარი ცოდნის შემდგომი გაღრმავებისა და პროფესიული წინსვლის პერსპექტივები.
სწავლა-სწავლების მეთოდები	• ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი • წერითი მუშაობის მეთოდი • ჯგუფური მუშაობა • დისკუსია/დებატები • ახსნა–განმარტებითი მეთოდი • თანამშრომლობითი სწავლება • პროექტი/რეფერატი

	• პრეზენტაცია • დემონსტრირების მეთოდი • გონებრივი იერიში • შემთხვევის ანალიზი • საექსპერტო შეფასება • ონლაინ/ელექტრონული სწავლებისა და სხვ. მეთოდი
შეფასების სისტემა	სასწავლო კომპონენტი შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისაგან. შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და იგი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებს: დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებს: დადებითი შეფასება: ა) ფრიადი - შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად

	მოთხოვნებს აკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს. უარყოფითი შეფასება: ვ) არადამაკმაყოფილებელი - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
დასაქმების სფეროები	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები დოქტორის ხარისხით მზად იქნებიან დასაქმდნენ ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს საჯარო, არასამთავრობო და კერძო სექტორების უმაღლეს პოზიციებზე, მათ შორის უმაღლეს მენეჯერულ პოზიციებზე, კვლევით პოზიციებსა და ლექტორებად უმაღლეს სასწავლებლებში.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	სწავლების საფასური შეადგენს 2250 ლარს წელიწადში საქართველოს მოქალაქეებისათვის. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური	**პროგრამა უზრუნველყოფილია კვალიფიციური აკადემიური პერსონალით და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.** **სტუდენტთა განკარგულებაშია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (თსუ, X - მაღლივი კორპუსი) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არსებული რესურსები, მათ შორის: ბიბლიოთეკა, საპრეზენტაციო**

რესურსი	**პროექტორით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურს-ცენტრები, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი და სხვ. სტუდენტთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა.** **იხ. თვითშეფასებით გათვალისწინებული დანართი N5**
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტით. **იხ. თვითშეფასებით გათვალისწინებული დანართი N11**
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	**დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა:** • სასწავლო კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტების სრულად ათვისება; • სამეცნიერო ხელმძღვანელის და შესაბამისი კომისიის მიერ დადებითად შეფასებული ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი; • სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში ან საკონფერენციო მასალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო/სამეცნიერო კომიტეტი. ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს **Scopus-**ისან **Web of Science-**ის ინდექსირებულ ბაზებში**.**

ფაკულტეტი: ***ეკონომიკისა და ბიზნესის***
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ***ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი***
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ***ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი***
სწავლების საფეხური: ***დოქტორანტურა***
კრედიტების რაოდენობა: ***50 ECTS***
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: ***პროფესორი იოსებ ხელაშვილი***
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: თსუ აკადემიური საბჭოს 29 ივნისის 2011 წლის დადგენილება №57, დანართი 86

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012-2013

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო სასწავლო კურსები: 40 კრედიტი											
N	**კოდი**	**სასწავლო კურსის სახელწოდება**	**ECTS**	**სტუდენტის საათობრივი დატვირთვა**					**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი / ლექტორები**
				საკონტაქტო			**დამოუკიდებელი**	**სულ**		**შემოდგომის**	**გაზაფხულის**	
				ლექცია	**სემინარი/ სამუშაო ჯგუფი**	**პრაქტიკუმი/ ლაბორატო-რიული**						
1		სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები	**5**	**60**		**-**	**65**	**125**	წინაპირობის გარეშე			ე. ღვინერია

2		კვლევის მეთოდოლოგია ბიზნესში	10	15	30		205	250	წინაპირობის გარეშე		ნ. თოდუა
3		ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების თანამედროვე ტენდენციები: პროცესები და კონცეფციები	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე		ი. ხელაშვილი
4		პროფესორის ასისტენტობა	10	45			205	250	სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები		ნ. თოდუა
5		დარგობრივი სემინარი	10	15			235	250	კვლევის მეთოდოლოგია ბიზნესში		ნ. თოდუა
არჩევითი სასწავლო კურსები: 10 კრედიტი											
5		აკადემიური წერა	5	15	-	30	80	125	წინაპირობის გარეშე		გ. შაბაშვილი
6		მეცნიერების მენეჯმენტი	5	15	30	-	80	125	წინაპირობის გარეშე		გ. ღვედაშვილი
7		უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	5	15	30	-	80	125	წინაპირობის გარეშე		ქ. ჭკუასელი

8		არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა	10	30	30		190	250	წინაპირობის გარეშე		ვ. პაპავა
9		სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში	5	15	15	15	80	125	წინაპირობის გარეშე		ს. გელაშვილი
10		უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსები (შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში)	10								

კვლევითი კომპონენტი

ორი სამეცნიერო -კვლევითი პროექტი (არაუადრეს III სემესტრისა);
სადისერტაციო ნაშრომის მომზადება;
დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება ყოველი სემესტრის დასაწყისში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა
_____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____
_____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————————

თარიღი ——————————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი